ოქმი:**ო37.37210401**

თარიღი:**09/02/2021**

ოქმი #2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 8 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

13.00 – 13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, ბ. დოლიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ლ. მგელაძე, გ. კილაძე, ბ. ქათამაძე, დ. ჭაკნელიძე, შ. გოგიბერიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმელიძე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულბის მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (გ. ჩაგანავა).

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

3. არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (გ. კილაძე)

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N2, 3 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. N1, საკითხი განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (გ. ჩაგანავა), ხოლო N4 გ. კილაძეს.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი